




აწსუ  
მედიცინის ფაკულტეტის  
2018-2024 წლების სტრატეგიული გეგმა

დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს  
სხდომის ოქმი № 40  
თარიღი 26. 12. 2017



ქუთაისი

## შინაარსი

1. ფაკულტეტის ისტორია
2. ფაკულტეტის მისია
3. ფაკულტეტის სამოქმედო პრინციპები
4. არსებული სიტუაციის ანალიზი
  - 4.1. გამოწვევების ანალიზი
  - 4.2. გარემოს (ჩართული მხარეების) ანალიზი
  - 4.3. SWOT ანალიზი
5. ფაკულტეტის ისტორია
6. ფაკულტეტის მისია
7. ფაკულტეტის სამოქმედო პრინციპები
8. არსებული სიტუაციის ანალიზი
  - 8.1. გამოწვევების ანალიზი
  - 8.2. გარემოს (ჩართული მხარეების) ანალიზი
  - 8.3. SWOT ანალიზი
9. ფაკულტეტის სამოქმედო პრინციპები
10. სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები და შედეგები
  - 10.1. სწავლებისა და კვლევის განვითარება
  - 10.2. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება
  - 10.3. სტუდენტური სერვისების განვითარება
  - 10.4. მართვის სისტემის გაუმჯობესება
  - 10.5. ადამიანური და მატერიალური რესურსები
11. განვითარების გრძელვადიანი გეგმა

## 12. განვითარების მოკლევადიანი გეგმა

- ✓ **პასუხისმგებლობა უნივერსიტეტისა და საზოგადოების წინაშე** - აცნობიერებს რა, უნივერსიტეტის მისიას, ფაკულტეტი მიზნად ისახავს ხარისხიანი სამედიცინო განათლების უზრუნველყოფით, აქტიურად ჩაერთოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ეფექტიანობის ზრდის ხელშემწყობ პროცესებში, შედეგად თავისი საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში.

### ფაკულტეტის ისტორია

მედიცინის ფაკულტეტი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდაა, იგი 1995 წელს დაარსდა და სრულად აცნობიერებს და აღიარებს უნივერსიტეტის მისიას, ხედვას და ძირითად ღირებულებებს.

მედიცინის ფაკულტეტი, როგორც უნივერსიტეტის შემადგენელი ნაწილი, გამოირჩევა მრავალფეროვანი აკადემიური პროგრამებით, ერთობლივი პროგრამების იმპლემენტაციით, ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, საინტერესო სტუდენტური პროექტებითა და საინტერესო კურიკულუმის გარეთა აქტივობებით.

2014 წელს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი გახდა AMEE-ს - ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის ([www.amee.org](http://www.amee.org)) წევრი, ხოლო 2015 წელს მოხდა მისი განთავსება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის

- WHO, მსოფლიო სამედიცინო განათლების საერთაშორისო ფედერაციის - WFME და საერთაშორისო სამედიცინო განათლების კატალოგის - IMED, უმაღლესი სამედიცინო სკოლების ვებ-რესურსებზე.

ამჟამად ფაკულტეტზე მოღვაწეობს 8 პროფესორი, 15 ასოცირებული პროფესორი, 9 ასისტენტ პროფესორი, 2 ემერიტუსი, რომელთა შორის არიან სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტები და კონსულტანტები.

ფაკულტეტის ადმინისტრაცია წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- ✓ ფაკულტეტის დეკანი: ასოც. პროფ. ირინე ფხაკაძე
- ✓ დეკანის მოადგილე: ასოც. პროფ. მაკა ჯავახია
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი: ასოც. პროფ. ნატო ალავიძე

ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულია ორი სასწავლო დეპარტამენტი:

- ✓ კლინიკური მედიცინის დეპარტამენტი, ხელ-ლი: ასოც. პროფ. თამარ ვალიშვილი
- ✓ ფარმაციისა და სტომატოლოგიის დეპარტამენტი, ხელ-ლი: პროფ. თენგიზ ლობჯანიძე

მედიცინის ფაკულტეტზე ხორციელდება უმაღლესი სამედიცინო განათლების 11 საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის:

**ერთსაფეხურიანი პროგრამები:**

- „სამკურნალო საქმე“
- „მედიცინა + PBL“
- ინგლისურენოვანი „MEDICINE“
- „სტომატოლოგია“

**საბაკალავრო პროგრამები:**

- „ფარმაცია“
- „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“
- „ფარმაცია“ ინგლისურენოვანი


**სამაგისტრო პროგრამები:**

- „ფარმაცია“
- „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა“

➤ „ბიოსამედიცინო ინჟინერია“ /აწსუ-თსსუ-სტუ/

**სადოქტორო პროგრამა**

➤ “ფარმაცია”




- დიპლომამდელი განათლების ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების დასრულებისას კურსდამთავრებულს ენიჭება „დიპლომირებული მედიკოსის“ და „დიპლომირებული სტომატოლოგის“ აკადემიური ხარისხი დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების გარეშე.
- ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება – ფარმაციის ბაკალავრის ხარისხი შესაბამისი დამოუკიდებელი საქმიანობის უფლებით (კანონით დადგენილი წესით).
- საბაკალავრო პროგრამის „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“ კურსდამთავრებულს ენიჭება ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.
- სამაგისტრო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა“ კურსდამთავრებულს ენიჭება საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის ხარისხი.
- ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის „ბიოსამედიცინო ინჟინერია“ კურსდამთავრებულს ენიჭება ერთობლივი ხარისხი - ბიოსამედიცინო ინჟინერიის მაგისტრი.
- სამაგისტრო პროგრამის „ფარმაცია“ კურსდამთავრებულს ენიჭება ფარმაციის მაგისტრის ხარისხი.
- სადოქტორო პროგრამის „ფარმაცია“ კურსდამთავრებულს ენიჭება ფარმაციის დოქტორის ხარისხი.

აღნიშნულ პროგრამებზე ამჟამად სწავლობს 814 (მათ შორის 230 უცხოელი) სტუდენტი, 2012-2013 სასწ. წლიდან მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე „MEDICINE“ სწავლობენ სტუდენტები სხვადასხვა ქვეყნიდან: ნიგერია, ერაყი, ინდოეთი, ლიბანი, გერმანია.

ფაკულტეტი აქტიურად არის ჩართული „TEMPUS“ საერთაშორისო პროექტების მიმდინარეობაში, შედეგად შექმნილია არაერთი სრულიად ახალი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებზეც მაღალია აბიტურიენტთა და საზოგადოების ინტერესი.

✓ ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა “მედიცინა+PBL“, რომელშიც მაქსიმალურად მაღალია ბაზისური და კლინიკური საგნების ინტეგრირების ხარისხი და დანერგილია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) დამატებითი ფორმატი, შეიქმნა TEMPUS“ საერთაშორისო პროექტის „Establishment of the Supra-Regional Network of the National Centres in Medical Education, focused on PBL and Virtual Patients“ ფარგლებში.




✓ ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა „ბიოსამედიცინო ინჟინერია“, შეიქმნა TEMPUS IV - BME-ENA Biomedical Engineering Education Tempus Initiative in Eastern Neighboring Area (Project number: 543904-TEMPUS-1-2013-1-GR-TEMPUS-JPCR) მიმდინარეობაში, ევროპელი პარტნიორების აქტიური მონაწილეობით და ხორციელდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად. მასში რეალიზებულია პარტნიორი უნივერსიტეტების კოორდინირებული აქტივობა. პროგრამის კურსდამთავრებულზე გაიცემა დიპლომი, რომელიც ადასტურებს ერთობლივ კვალიფიკაციას (აწსუ-თსსუ-სტუ).

საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების კურსის (პრეკლინიკური ციკლი) პარალელურად, რომელიც უნივერსიტეტში ხორციელდება, მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები საგანმანათლებლო პროგრამების კლინიკურ კომპონენტებს გადიან თანამედროვე სამედიცინო ტექნიკით აღჭურვილ მრავალპროფილიან საბაზისო კლინიკებში. ფაკულტეტზე შექმნილი კოლეგიალური ატმოსფერო ხელს უწყობს როგორც თეორიული განათლების მიღებას, პროფესიული უნარების ჩამოყალიბება – განვითარებას, ასევე საინტერესო სტუდენტური ცხოვრების მხარდაჭერას. სტუდენტების ინიციატივით პროექტების „სტუმრად ექიმებთან“ და „თეთრი ხალათის გარეშე“ ფარგლებში იმართება ცნობილ და წარმატებულ ექიმებთან შეხვედრები არაფორმალურ გარემოში.

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამებზე აბიტურიენტთა გაზრდილ მოთხოვნას

ადასტურებს მედიცინის ფაკულტეტზე ბოლო წლებში სტუდენტების ჩარიცხვის დინამიკა.





## 1. ფაკულტეტის მისია

სამედიცინო საქმე არის ჯანდაცვის სფეროს უმნიშვნელოვანესი მიმართულება, რომელიც შეეხება არამხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობას, არამედ მის სიცოცხლეს. მისი მიზანია ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნება-გაუმჯობესება.

„საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საექიმო საქმიანობა არის: „მედიცინაში განსწავლული, სათანადო უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირის პროფესიული საქმიანობა, რომლის მიზანია ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით, აგრეთვე საექიმო ტრადიციების გათვალისწინებით, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა, მისთვის ტანჯვის შემსუბუქება“ (მუხლი 5).

დიპლომამდელი სამედიცინო განათლების, როგორც მომავალი წარმატებული საექიმო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი წინაპირობის, შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან მეტად აქტუალური პრობლემაა ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ოპტიმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

სამედიცინო საქმეში აუცილებელია არა მხოლოდ ბიოსამედიცინო და კლინიკურ მეცნიერებებში თეორიული ცოდნის მიღება, არამედ კლინიკური უნარების გამომუშავება და ამ პროფესიისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ეთიკური ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბება.

სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) სტანდარტების თანახმად, ბოლონის პროცესში მონაწილე ქვეყნებისთვის დიპლომამდელი საფეხურის კომპეტენციები უნდა განისაზღვროს თუნიზის პროექტით მოწოდებული კომპეტენციების საფუძველზე, ხოლო საბაზო (დიპლომამდელი) სამედიცინო განათლების კურსდამთავრებულთა კომპეტენციები - საქართველოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი და დარგობრივი დოკუმენტის საფუძველზე.

აწუ მედიცინის ფაკულტეტი, როგორც უნივერსიტეტის შემადგენელი ნაწილი, სრულად აცნობიერებს და აღიარებს უნივერსიტეტის მისიას, ხედვას და ძირითად ღირებულებებს. ფაკულტეტზე ხორციელდება ყველა საფეხურის აკადემიური პროგრამები. ფაკულტეტი, ეფუძნება რა, უნივერსიტეტის ათეული წლების ტრადიციებს, უმაღლესი სამედიცინო განათლების ეროვნულ და ევროპულ სტანდარტებს, ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება, კვლევითი საქმიანობა და საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, მომავალი პროფესიონალების მომზადებას.

ფაკულტეტი აცნობიერებს უნივერსიტეტისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას და მიზნად ისახავს თავისი საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში, დაიცვას

ზნეობრივი და ეთიკური პრინციპები, ამ მიზნით იგი უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარისათვის მაღალი ხარისხის განათლების მიწოდებას, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, ინგლისურენოვან პროგრამებზე უცხოელი სტუდენტების მოზიდვას.

## 2. ფაკულტეტის ხედვა

მედიცინის ფაკულტეტის ხედვაა უნივერსიტეტის მასშტაბით იყოს ერთ-ერთი მოწინავე ფაკულტეტი და იმავდროულად ჰქონდეს მზარდი საერთაშორისო რეპუტაცია, შეძლოს პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიწოდება, მოტივირებული და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტების მოზიდვა, ფაკულტეტის კვლევითი პოტენციალის ამაღლება, შესაბამისი პირობების სრულყოფა და განვითარება, მათ შორის პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით; თანამედროვე ცოდნისა და ტექნოლოგიების გავრცელების ხელშეწყობა.

ფაკულტეტი უნდა უზრუნველყოფდეს რეალურ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების და შესაბამისი ადამიანური რესურსების უწყვეტ და დინამიურ განვითარებას და იმავდროულად სთავაზობდეს ასობით ქართველ და უცხოელ სტუდენტებს მრავალფეროვან სტუდენტურ სერვისებს და სთავაზობდეს ხელშემწყობ გარემოს სრულფასოვანი სტუდენტური ცხოვრებისა და პიროვნული განვითარებისათვის.

იმავდროულად, ფაკულტეტი სულ უფრო უნდა აძლიერებდეს კვლევით საქმიანობას კვლევის არჩეული პრიორიტეტული მიმართულებების და ძირითადი სამეცნიერო-კვლევითი პრობლემემატიკის შესაბამისად.

## 3. ფაკულტეტის სამოქმედო პრინციპები

კონკურენტული სამედიცინო განათლებისათვის აუცილებელი ძირითადი მიმართულებებით, როგორცაა: დარგობრივი აკადემიური ცოდნა, ინფორმაციის მართვა, კლინიკური აზროვნების, პრაქტიკული და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება, ხორციელდება ფაკულტეტზე ფუნდამენტური და კლინიკური მეცნიერებების სწავლება და კვლევა.

საყოველთაოდ მნიშვნელოვან და წამყვან პრიორიტეტებსა და ღირებულებებზეა დაფუძნებული მედიცინის ფაკულტეტის საქმიანობის განმსაზღვრელი და სახელმძღვანელო პრინციპები:

- ✓ **პასუხისმგებლობა უნივერსიტეტისა და საზოგადოების წინაშე** - აცნობიერებს რა, უნივერსიტეტის მისიას, ფაკულტეტი მიზნად ისახავს ხარისხიანი სამედიცინო განათლების უზრუნველყოფით, აქტიურად ჩაერთოს ჯანმრთელობის დაცვის

სისტემის ეფექტიანობის ზრდის ხელშეწყობ პროცესებში, შედეგად თავისი საქმიანობით წვლილი შეიტანოს ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში.

- ✓ **ცოდნის და კვლევის აკადემიური ხარისხი** - ფაკულტეტზე არსებული კოლეგიალური გარემო ეფუძნება აკადემიური ეთიკის პრინციპებს, ურთიერთპატივისცემას, მხარდაჭერასა და სამართლიან ურთიერთობებს.
- ✓ **დემოკრატიულობა და ჰუმანიზმი** - მომზადებული მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც პატივს სცემენ და აღიარებენ დემოკრატიულ ღირებულებებს, ადამიანთა უფლებებსა და თავისუფლებებს; კულტურათაშორის ურთიერთობებს, ტოლერანტობისა და ჰუმანიზმის იდეალებს; ეფექტურად იზრუნებენ მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე.
- ✓ **მართვის ორგანოების არჩევითობა და გამჭვირვალობა** - არჩევნების და კონკურსების სამართლიანობა, გამჭვირვალობა, საჯაროობა, ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვა, თანასწორმოპყრობა განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილებისა, სქესისა, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა; აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებისა და მათი შესრულების კონტროლის პროცესში
- ✓ **აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება** - ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, მკვლევრები და სტუდენტები სრულიად თავისუფალნი არიან საკუთარი სამეცნიერო-აკადემიური პროფილის ფორმირებასა და განვითარებაში, ახალი ცოდნის შექმნაში, სამედიცინო საზოგადოებაში მისი ღია განხილვისა და გავრცელებისათვის შესაძლებლობების ძიებაში.
- ✓ **გუნდურობა** - ღია კომუნიკაცია, კოლეგიალურობა, გუნდური მუშაობა, ჰარმონიული და დინამიური ურთიერთობები, აუცილებელი მახასიათებელია ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა რგოლში დასაქმებულთათვის.
- ✓ **უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზმი** - აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობა სწავლის, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეში, საერთაშორისო სისტემებში სრულუფლებიანი მონაწილეობა; განათლების ყველა საფეხურზე შესაბამისობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მობილობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა.

#### 4. არსებული სიტუაცია და გამოწვევები

##### 4.1. გამოწვევების ანალიზი

გლობალიზაცია უმაღლესი სამედიცინო განათლების სფეროში ახალ გამოწვევებს უსახავს მედიცინის ფაკულტეტს, მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის პროექტი შესაბამისობაშია მსოფლიოს სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მიერ დადგენილ მოთხოვნებთან. აღნიშნული გარემოება ქმნის 2023 წლისათვის მედიცინის პროგრამების მიერ საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვების აუცილებლობით გამოწვეულ შესაძლებლობებს, რაც ნიშნავს იმას, რომ ფაკულტეტზე მოქმედი სამედიცინო პროგრამების კურსდამთავრებულები შეძლებენ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში სწავლის გაგრძელებას და დასაქმებას. ამ მიმართულებით, აღსანიშნავია უცხოელი სტუდენტების მოზიდვით ფინანსური შემოსულობების ზრდა, საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება და საკუთარი სტუდენტების სწავლება უცხოეთის პარტნიორ უმაღლეს სასწავლებლებში, სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლება სტუდენტებისა და პედაგოგების ცოდნის საერთაშორისო გაცვლის პროცესში ჩართვის გზით და ა.შ. უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სწავლა/სწავლების პროცესის ხარისხის სრულყოფის ეფექტური საშუალება.

#### 4.2. გარემოს (ჩართული მხარეების) ანალიზი

მედიცინის ფაკულტეტი საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან მჭიდრო ურთიერთკავშირში. ფაკულტეტის არსებობის მანძილზე პარტნიორული ურთიერთობებია დამყარებული ქართულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო საზოგადოებებთან და კვლევით ინსტიტუტებთან.

მედიცინის ფაკულტეტს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, თანამშრომლობის ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული ქალაქის სამედიცინო სამკურნალო-დიაგნოსტიკურ დაწესებულებებთან, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტსა და მასთან აფილირებულ სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან, ფარმაცევტულ დაწესებულებებთან, უნივერსიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს სამედიცინო კორპორაცია „ვექსთან“, ფარმაცევტულ კომპანია „PSP“- თან, კურსდამთავრებულებთან, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

#### პარტნიორი ორგანიზაციები

	კლინიკური ბაზები (გაფორმებულია ხელშეკრულება/მემორანდუმით)
--	--

1.	დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი
2.	სამედიცინო კორპორაცია „EVEX“ ტრენინგ ცენტრი
3.	იმერეთის რეგიონული კლინიკური საავადმყოფო
4.	წმ. ნიკოლოზის ქირურგიული ცენტრი
5.	შპს კლინიკა „ბომონდი“
6.	შპს ლერი ხონელიძის სამშობიარო სახლი
7.	№3 სამშობიარო სახლი
8.	შპს „XXI საუკუნე“
9.	შპს „რეგიონალური სისხლის ბანკი“
10.	შპს ცაგარეიშვილის სამედიცინო ცენტრი
11.	შპს „ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“
12.	შპს აკად. ნანეიშვილის სახ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
13.	შპს ლ & ჯ
14.	შპს კლინიკა ლ & ჯ და კომპანია
15.	შპს სტომატოლოგიური პოლიკლინიკა „დენტიმერი“
16.	შპს „რეგიონული სტომატოლოგიური ცენტრი“
17.	სტომატოლოგიური კლინიკა “პრიმადენტი“
18.	ქუთაისის №3 ბავშვთა პოლიკლინიკა
19.	სამედიცინო სამკურნალო ცენტრი „გერგილ +“

20.	შპს „ქუთაისის ნაზარიშვილის სახ. საოჯახო მედიცინის ცენტრი“
21.	შპს „მწვანე აფთიაქი“
22.	ფარმაცევტულ კომპანია „PSP“
23.	არასამთავრობო ორგანიზაცია „აკმე“
24.	„ხიდი ინკლუზიური განათლებისკენ“
<b>უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული სასწავლო ლაბორატორიები</b>	
	<ul style="list-style-type: none"> <li>• ფიზიოლოგიის ლაბორატორია</li> <li>• ანატომიის ლაბორატორია</li> <li>• ციტოლოგია, ჰისტოლოგიის ლაბორატორია</li> <li>• ფარმაცევტული ქიმიის და ლაბორატორია</li> <li>• ფარმაცევტული ტექნოლოგიის ლაბორატორია</li> <li>• კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი</li> </ul>

### 4.3. SWOT ანალიზი

მედიცინის ფაკულტეტი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებს შორის შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ დინამიურად მზარდი, დიდი პოტენციალის მქონე ფაკულტეტია, გამორჩეული ევროპელ პარტნიორებთან ურთიერთთანამშრომლობის შედეგად შექმნილი ახალი საგანმანათლებლო პროგრამებით, ძლიერი და სუსტი მხარეებით:

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> <li>• მზარდი ავტორიტეტი და დადებითი იმიჯი; შესაბამისად ყოველწლიურად საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა კონტიგენტის ზრდის დინამიკა;</li> <li>• ბაზარზე მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამები სწავლების ყველა საფეხურზე;</li> <li>• მაღალკვალიფიციური აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი; რომელსაც აქვს ფაკულტეტის განვითარების სწორი ხედვა, სასწავლო პროცესის რაციონალურად დაგეგმვა/წარმართვისა და არსებული რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობა, სწავლების ხარისხის გაუმჯობესების უნარი;</li> <li>• სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აქტიური მონაწილეობა ფაკულტეტის მართვის პროცესში;</li> <li>• ექიმთა და სტუდენტთა ტრადიციული კონფერენციების ჩატარების გამოცდილება;</li> <li>• მედიცინის სფეროში ახალი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა , განპირობებული საერთაშორისო საბიბლიოთეკო ელექტრონულ ბაზებთან წვდომით;</li> <li>• საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის და საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში ჩართულობის გამოცდილება;</li> <li>• ფაკულტეტის საკმაოდ სტაბილური ფინანსური ბაზა;</li> <li>• მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების კლინიკური კომპონენტების განხორციელებისათვის რელევანტური გარემოს უზრუნველყოფა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• არასაკმარისია თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი აუდიტორიები და ლაბორატორიები; სრულყოფას საჭიროებს კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი;</li> <li>• უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სტუდენტური სერვისებით სარგებლობის პრობლემები;</li> <li>• სახელმწიფო გრანტის მქონე სტუდენტების მცირე რაოდენობა და/ან სწავლის დაბალი საფასური.</li> <li>• საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების დაბალი მაჩვენებელი;</li> <li>• სხვა საერთაშორისო უნივერსიტეტებთან სტუდენტებისა და პედაგოგების გაცვლითი პროგრამების სიმწირე;</li> <li>• უნივერსიტეტის კარიერის განვითარების და კონსულტირების ცენტრთან არასაკმარისი თანამშრომლობა;</li> <li>• ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის დაბალი ანაზღაურება;</li> <li>• ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულებში/დეპარტამენტებში კვლევითი საქმიანობის ერთიანი მიმართულების არ არსებობა.</li> <li>• აკადემიური პერსონალის შედარებით ნაკლები გამოცდილება და შესაბამისად, მათი მაკლებად გამოხატული რეზისტენტულობა ცვლილებებისადმი.</li> <li>• ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის განვითარების– სწავლის და კვლევის უნარების გაუმჯობესების სტრატეგიის არ არსებობა;</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>• რეგიონული კლინიკური ბაზების ხელმძღვანელებთან ფაკულტეტის ადმინისტრაციის კონსტრუქციული და უწყვეტი კავშირები, საუნივერსიტეტო კლინიკური ბაზების შესაძლებლობები და მათი რაციონალურად გამოყენება;</li> <li>• კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი;</li> <li>• ფაკულტეტის სტუდენტებისათვის მრავალფეროვანი კურიკულუმსგარე შემოქმედებითი აქტივობები;</li> <li>• ხელსაყრელი მდებარეობა საფაკულტეტო კომპლექსის შექმნისა და სრულყოფის მიზნით, ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების სტრატეგია;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინგლისურენოვანი სწავლების დეპარტამენტის არარსებობა</li> <li>• ფარმაციისა და სტომატოლოგიის საერთო დეპარტამენტის არსებობა</li> <li>• სასწავლო ლაბორატორიის არასაკმარისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით.</li> <li>• ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების რიცხოვრივი ნაკლებობა</li> <li>• არასაკმარისია საქმიანობა პროფორიენტაციის მიმართულებით</li> <li>• უცხო ენის ცოდნის არასაკმარისი კომპეტენცია საერთაშორისო ბაზარზე ინტეგრაციის მიზნით.</li> </ul>
<p style="text-align: center;"><b>შესაძლებლობები</b></p>	<p style="text-align: center;"><b>საფრთხეები</b></p>
<ul style="list-style-type: none"> <li>• ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდა;</li> <li>• მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვება;</li> <li>• უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ეტაპობრივი გაზრდა;</li> <li>• საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გააქტიურება;</li> <li>• ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა პარტნიორი უნივერსიტეტების (საქართველოს და უცხოური) მონაწილეობით;</li> <li>• ფაკულტეტზე მოქმედი პროგრამების განვითარებაში კურსდამთავრებულთა ინტეგრირების ხელშეწყობა;</li> <li>• დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დაგეგმილი კონტინგენტის არასრული შევსება;</li> <li>• ფინანსური კრიზისის გაღრმავება და მოსახლეობის სოციალური ფონის გაუარესება;</li> <li>• უცხოენოვან სტუდენტთა ნაკადის შემცირება;</li> <li>• მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამებზე საზოგადოების მოთხოვნის შემცირება; ზოგადად, სწავლის ხანგრძლივი და ძვირი პროცესის გამო;</li> <li>• საერთაშორისო კონკურენციის გამძაფრება ელექტრონული და დისტანციური სწავლების განვითარების ხარჯზე;</li> <li>• ნაციონალურ დონეზე კონკურენტების მხრიდან უკეთესი სასწავლო პროგრამების და პირობების შეთავაზება, კონკურენტი უნივერსიტეტების პოპულარობის ზრდა;</li> </ul>



<ul style="list-style-type: none"> <li>• სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავება</li> <li>• უნივერსიტეტის კარიერის განვითარების და კონსულტირების ცენტრთან აქტიური კომუნიკაცია თანამშრომლობის გაღრმავებისა და მედიცინის დარგის სპეციფიკის აქცენტირების მიზნით.</li> <li>• უმაღლესი სამედიცინო განათლების მესამე საფეხურის პროგრამების რეალიზაცია.</li> <li>• პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის ფართოდ დანერგვა PBL სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;</li> <li>• სასწავლო პროცესებში მონაცემთა ვიზუალიზაციის მეთოდების გამოყენების მისაღწევად აწესი ინოვაციური ტექნოლოგიების ლაბორატორიასთან მჭიდრო თანამშრომლობა ვირტუალური რეალობის ლაბორატორიის ბაზაზე (VR LAB) სასწავლო პროგრამის შექმნის მიზნით.</li> <li>• არსებული შეფასების მეთოდების მოდიფიცირება უფრო ეფექტური შედეგების მიღწევისათვის;</li> <li>• ტრენინგ-პროგრამების რეალიზაცია ადმინისტრაციული პერსონალის უნარ-ჩვევების და კვალიფიკაციის ასამაღლებლად და აკადემიური პერსონალის მიერ სწავლის და სწავლების თანამედროვე მეთოდების ათვისებისათვის</li> <li>• უცხოელი სტუდენტების ჩართვა ქართველი სტუდენტების ინგლისური ენის ფლობის</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საგანმანათლებლო სფეროში მომხდარი საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, ავტორიზაცია/აკრედიტაციის პროცესისადმი წაყენებული ახალი მოთხოვნები</li> <li>• სამედიცინო განათლების პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შედარებით დაბალი ანაზღაურება, რაც ნაკლებად მომხიბვლელია ჰოსპიტალურ სექტორში დასაქმებული კლინიცისტი პერსონალისათვის, კერძო სექტორის კონკურენტი უნივერსიტეტების მხრიდან მაღალი ანაზღაურების შეთავაზება, რაც კვალიფიციური კადრის გადინების საფრთხის შემცველია.</li> <li>• ადამიანური რესურსების/აკადემიური პერსონალის ნაკლებობა;</li> </ul>
--	---

კომპეტენციების გაუმჯობესების მიმართულებით გადამზადების კურსების ორგანიზებით.	
---	--

## 5. სტრატეგიული მიმართულებები, მიზნები და შედეგები

ფაკულტეტის სტრატეგია დასახული მისიის რეალიზების მიზნით გამოყოფს 5 ძირითად მიმართულებას. ეს სტრატეგიული მიმართულებები და მიზნებია:

### 1. სწავლებისა და კვლევის ხარისხის განვითარება

სწავლებისა და კვლევის ხარისხის განვითარების მიზნით ფაკულტეტის სტრატეგიული მიმართულებებია:

- მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;
- კვლევითი ერთეულის შექმნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის სახით, კვლევითი საქმიანობის გაძლიერებისა და ამ მიმართულებით აკადემიური პროგრამების შემუშავება/იმპლემენტაციის მიზნით; ამ პროცესში უცხოელი პარტნიორების ჩართვა, მათი გამოცდილების გაზიარებისა და პროგრამების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით;
- ფაკულტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობით საუნივერსიტეტო საზოგადოებისა და ჯანდაცვის სფეროს მოთხოვნების დაკმაყოფილება;

აღნიშნულის მისაღწევად ფაკულტეტი:

- ✓ პერმანენტულად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგს მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის, სწავლა-სწავლების მეთოდებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდების შესაბამისობის დადგენა/უზრუნველყოფის მიზნით; პროგრამების ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და დარგობრივ დოკუმენტთან შესაბამისობის მიზნით;

- ✓ ატარებს შესაბამის სამუშაოებს კვლევითი ერთეულის (საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა) შექმნის მიზნით: არჩევს შესაბამის კადრებს, უზრუნველყოფს ფუნქციების შემუშავება./გადანაწილებას, უზრუნველყოფს შესაბამისი მატერიალური-ტექნიკური ბაზის შექმნას; ხელს უწყობს ამ პროცესში უცხოელი პარტნიორების ჩართვას;
- ✓ ხელს უწყობს და მნაწილეობს ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და იმპლემენტაციის პროცესში;

## შედეგი

- ✓ მიღწეულია მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა; უზრუნველყოფილია დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევა (პროგრამების შინაარსი და სტრუქტურა, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას) კურსდამთავრებულთა კომპეტენციები მიიღწევა საქართველოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და დარგობრივი დოკუმენტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.
- ✓ ფაკულტეტის კვლევითი პროფილის შესაბამისად, შექმნილია კვლევითი ერთეული საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის სახით, რომელიც აწარმოებს რეგიონის საჭიროებებიდან გამომდინარე ეპიდემიოლოგიურ კვლევებს, დაზუსტებულია ფაკულტეტის კვლევითი პროფილი და უზრუნველყოფილია ამ პროცესში ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის აქტიური ჩართვა. ხორციელდება პერსონალის გადამზადება კვლევითი საპროექტო წინადადების მომზადებასა და წარდგენაში, შექმნილია სწავლების ეთიკური პრინციპების, პლაგიატის გამოვლინების შემთხვევათა მართვის სისტემა.
- ✓ შემუშავებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამები, მიმდინარეობს მათი იმპლემენტაცია, ხორციელდება საერთაშორისო პარტნიორების დაინტერესება /მოზიდვა და მათთან თანამშრომლობა.

## 2. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება

სტრატეგიული მიმართულების მიზანია:

- საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რისთვისაც ფაკულტეტი სახავს შემდეგ ამოცანებს:
  - ✓ სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირება და საერთაშორისო კვლევებში ჩართვა;
  - ✓ პარტნიორი უნივერსიტეტების მოძიება და მათთან ურთიერთობების გაღრმავება;

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში უცხოელი სპეციალისტების (მედიცინის დარგის წამყვანი) ჩართვა
- ✓ უცხოელ პარტნიორებთან ერთად ერთობლივ პროექტებზე მუშაობა და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა/განხორციელება;
- ✓ უცხოელი სტუდენტების მოზიდვა ევროპის ქვეყნებიდან;
- ✓ უცხოელ კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზის შექმნა მათთან მუდმივი კომუნიკაციის შენარჩუნების მიზნით.
- ✓ აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა მობილობის გააქტივება;
- ✓ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა უცხო ენის კომპეტენციის ამაღლება

### შედეგი

- ✓ დანერგილია აკადემიური პერსონალის წახალისების ფორმები, რომლებსაც ნაყოფიერი საერთაშორისო თანამშრომლობა აქვთ.
- ✓ გაზრდილია უცხოელი სტუდენტებისა და პროფესორების რაოდენობა.
- ✓ ამოქმედებულია უცხოელი სტუდენტებისათვის სერვისები.
- ✓ კიდევ უფრო ხელმისაწვდომია უცხო ენ(ებ)ის კურსები აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის უწყვეტი განათლების პროგრამის ფარგლებში.
- ✓ უცხოელი სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული ქართველი სტუდენტების ინგლისური ენაში მოსამზადებელი კურსების ორგანიზებაში, რაც ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას.
- ✓ შემუშავებულია სტრატეგია, მედიცინის ინგლისურენოვან პროგრამაზე სამიზნე ქვეყნების გაფართოების მიზნით, ფაკულტეტი აქტიურად მონაწილეობს განათლების გამოფენებში
- ✓ შექმნილია უცხოელ კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზა მათთან მუდმივი კომუნიკაციის შენარჩუნებისა და მათი გამოიყენების მიზნით ახალი სტუდენტების რეკრუტირებისათვის.
- ✓ განსაზღვრულია უცხოელი სტუდენტების სწავლის საფასურის/მომსახურების ეფექტიანი ფინანსური პოლიტიკა; გაშლილია PR კამპანია ინგლისურენოვანი პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გასაშუქებლად.
- ✓ უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტის, მედიცინის ფაკულტეტის, ინგლისურენოვანი პროგრამისა და ზოგადად, ქუთაისის ისტორიული წარსულისა და დღევანდელი შესახებ.

